



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 18

2015 წლის 20 მარტი

ქალაქი ახალციხე

„ახალციხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 თებერვლის №13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე პუნქტის და საქართველოს კანონის "საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-19 მუხლის „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ახალციხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 თებერვლის 13 დადგენილების (ვებ-გვერდი 24/02/2015, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.138.016197) დანართს დაემატოს მუხლი 8, შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 8. საკრებულოს აპარატი

უფროსი საჯარო თანამდებობის პირი - **აპატარის უფროსს** ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად მოეთხოვება:

- ა) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) კარგ დონეზე ცოდნა;
- ბ) უმაღლესი განათლება;
- გ) სამუშაო გამოცდილება - მინიმუმ 1 წელი.

უფროსი საჯარო თანამდებობის პირი - **მთავარი სპეციალისტს** ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად მოეთხოვება:

- ა) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) კარგ დონეზე ცოდნა;
- ბ) უმაღლესი განათლება;

უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი - **წამყვან სპეციალისტს** ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად მოეთხოვება:

- ა) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) კარგ დონეზე ცოდნა;
- ბ) უმაღლესი განათლება;

უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი - **უფროსი სპეციალისტს** ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად მოეთხოვება:

- ა) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) კარგ დონეზე ცოდნა;
- ბ) უმაღლესი განათლება;

უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი - **სპეციალისტს** ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად მოეთხოვება:

ა) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) კარგ დონეზე ცოდნა;

ბ) უმაღლესი განათლება

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე